სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნინო ხაბალაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	20	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	82	100

თარიღი : 17.09.2024 წ.

მ. ალ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

დიმიტრი გვრიტიშვილი

2024 წლის 17 სექტემბერი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ნინო ხაბალაშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 17 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადდა კონკურსი.

1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა **ნინო ხაბალაშვილი** (შემდგომში - „კანდიდატი“), ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში, თელავის რაიონული სასამართლოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში, საჩხერის რაიონული სასამართლოს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში, სიღნაღის რაიონულ სასამართლოში და ხაშურის რაიონულ სასამართლოში არსებულ ყველა ვაკანტურ თანამდებობასთან მიმართებით.

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „კანონის“ 34^2 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 5 სექტემბერს, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა, რომელშიც მივიღე მონაწილეობა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე „კანონის“ 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *„საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:*

2.1.1. „კანდიდატი“ 40 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი). სპეციალობით მუშაობს 18 წელზე მეტია.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები „კანდიდატს“ დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

2.1.3. „კანდიდატი“ არ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; არ აქვს მიმდინარე სესხი. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში „კანდიდატი“ რეგისტრირებული არ არის.

2.1.5. ბოლო სამი წლის განმავლობაში, „კანდიდატი“ 1-ლ დაჯარიმდა ადმინისტრაციული წესით საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის; ჯარიმა გადახდილია დროულად.

სასამართლოში მხარედ „კანდიდატის“ მონაწილეობა არ დაფიქსირებულა. იგი დაზარალებულად იყო ცნობილი 1 სისხლის სამართლის საქმეში, 2007 წელს. მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.

2.1.6. „კანდიდატი“ არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის (შემდგომში - „სკოლა“) XII ჯგუფის მსმენელი; ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში მინიჭებული აქვს რიგითი ნომერი 9.

„კანდიდატმა“ მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბარა შემდეგი შედეგებით: ტესტური გამოცდა - 79 ქულა (მაქსიმალური ქულის 79%), წერითი გამოცდა - 15 ქულა (მაქსიმალური ქულის 60%).

„სკოლის“ დამოუკიდებელმა საბჭომ „კანდიდატი“ ძირითადად დადებითად დაახასიათა; თუმცა, მის მიმართ გასცა შემდეგი რეკომენდაციები: იმუშაოს ზეპირი გადმოცემის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე; ყურადღება უნდა გაამახვილოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობაზე; სასურველია გამოიმუშაოს მეტი თავდაჯერებულობა და დამაჯერებლობა, ზეპირი ფორმით არგუმენტირებისას.

2.1.7. „კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის ღონისძიებებში იშვიათად მონაწილეობს. ბოლო 3 წლის განმავლობაში, მან მონაწილეობა მიიღო ერთადერთ ტრენინგში (2022 წელს: „დისკრიმინაციის თემაზე ეროვნული სტანდარტები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში“).

„კანდიდატს“ ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა; ასევე - მოსამართლის თანაშემწის გამოცდა და გავლილი აქვს სამთვიანი სასწავლო კურსი.

ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

2.1.8. „კანდიდატი“ არ ეწევა სამეცნიერო/ პედაგოგიურ საქმიანობას.

წარსულში გამოქვეყნებული აქვს ორი სტატია: 1) 2009 წელს, თემაზე: „არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად; 2) 2012 წელს, თემაზე: „არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება შრომითი უფლებების დარღვევის დროს“.

2.2. ***კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:***

2.2.1. იმის გათვალისწინებით, რომ „საბჭომ“ სხვა კონკურსის (რომელიც გამოცხადებული იყო „საბჭოს“ 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, სააპელაციო სასამართლოებში და თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე და რომელიც ჩატარდა მოცემული კონკურსის პარალელურად) ფარგლებში 2024 წლის 4 სექტემბერს ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა, ძირითადი ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ სწორედ 4 სექტემბრის საჯარო მოსმენის შედეგად იქნა მოპოვებული. „კანდიდატს“ „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატი“ ძირითადად გამართულად მეტყველებს, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს ლოგიკურად, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით.

2.2.3. მართალია, დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით „კანდიდატის“ მიერ გაცემულ პასუხებში დაფიქსირდა გარკვეული შეცდომები/ ხარვეზები (მაგ: ვერ ჩათვალა ამომწურავად ე.წ. აბსოლუტური უფლებები; ვერ ჩამოაყალიბა ე.წ. თვითინკრიმინაციისაგან დაცვის გარანტიის არსი და ვერ გაიხსენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა აღნიშნულ საკითხზე და ა.შ.), თუმცა, საბოლოო ჯამში, „კანდიდატმა“ წარმოაჩინა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის (მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) სათანადო ცოდნა.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „კანონის“ 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 4-ვე მახასიათებლის მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

3.2. ,,კანდიდატის" შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ ვინაიდან არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა ამ შეფასების 3.1 პუნქტში აღნიშნულ პრეზუმფციას ,,კანდიდატის" 4-ვე მახასიათებლის მიხედვით კეთილსინდისიერად მიჩნევის შესახებ, დავასკვენი, რომ ,,კანდიდატი" აკმაყოფილებს ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა"-,,დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მახასიათებლებს (**,,პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი"; ,,დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა"; ,,პიროვნული და პროფესიული ქცევა"; ,,პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია").**

3.2.3. დასკვნა, რომ ,,კანდიდატი" კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 4-ვე მახასიათებელს აკმაყოფილებს, თავისთავად განაპირობებს ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საბოლოო დასკვნას: **,,კანდიდატი" სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. ამ შეფასების 2.2.2 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **,,სამართლის ნორმების ცოდნის"** მახასიათებლის მიხედვით, ,,კანდიდატს" მივანიჭე **20 ქულა**.

4.2. ამ შეფასების 2.1.6 და 2.2.2 პუნქტებში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **,,სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის"** მახასიათებლის მიხედვით ,,კანდიდატს" მივანიჭე **20 ქულა**.

4.3. ამ შეფასების 2.1.6 და 2.2.2 პუნქტებში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **,,წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარების"** მახასიათებლის მიხედვით ,,კანდიდატს" მივანიჭე **18 ქულა**.

4.4. ამ შეფასების 2.1.2 და 2.1.6 პუნქტებში აღწერილი გარემოებებიდან (განსაკუთრებით - ,,სკოლის" დამოუკიდებელი საბჭოს რეკომენდაცია) გამომდინარე, ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **,,პროფესიული თვისებები"** მახასიათებლის მიხედვით ,,კანდიდატს" მივანიჭე **14 ქულა.**

4.6. ამ შეფასების 2.1.7 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის"** მახასიათებლის მიხედვით ,,კანდიდატს" მივანიჭე **6 ქულა.**

4.7. ამ შეფასების 2.1.8 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **„პროფესიული აქტივობის“** მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ მივანიჭე **4 ქულა**.

4.8. აღნიშნულიდან გამომდინარე, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, „კანდიდატს“ მივანიჭე 82 ქულა (20+20+18+14+6+4)**.